ეროვნული ბიბლიოთეკა


# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალ-კე ნომერი 10 კ.-ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან"ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ Ред. „Театри да Цховреба" I. Имедашвили

ფასი 10 კ.

შაბათი, 10 ღვინობისთვე. № 41—1915




პირველი მეფის ნაცვალი ქართული წარმოდგენის რეპეტიციაზე
(პ. უმიკაშვილის „სამზადისი"-დან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 ღვინობისთვე

**კანდელი ჩამქრალია!**

თბილის ს ოპერა, რუსული დრამა, პროჟექტორები, კლუბები ყოველ ღამე გაჩაღებულია! ქართული თეატრის კანდელი კი ჩამქრალია...

ქართული დრამატიული დასი არსადა სჩანს...

ჩვენი მოზარდი თაობა, საშუალო სასწავლებელთა ქართველი მოწაფენი, დემოკრატიული ინტელიგენცია, ესთეტიურად გემო-გახსნილი ქართველი მაყურებელი იანაიანა ლადის, ნატრობს ქართულ წარმოდგენას, მაგრამ რაკი სამშობლო სცენის კარი დახშულია, ძალაუნებურად, უცხო გასართობებს ეტანება: თვისი ფულით სხვის სალაროს ამდიდრებს, სხვისი ნააზრ-ნაფიქრით თვით იკვებება...

ყველა სარწმუნოების ქართველმა კისერი მოიფხანა და ჰსურს კვალად მშობლიური ძუძუთი ისაზრდოვოს: ქართველი ებრაელები, ქართველი გრიგორიანები, ქართველი მაჰმადიანები, ქართველი კათოლიკნი სამშობლო—ქართულ სცენისკენ მიილტვიან, მაგრამ სადაა იგი?

ჩვენ სახელოვნო-კულტურულ დაწესებულებათა მესვეურნი-კი ურთიერთს ეკამათებიან და იმას ვერ ამჩნევენ, კოზაკი რომ შუაში იჭყლიტება...

ნუ თუ, ვისაც ევალება, კვირა-უქმე დღის დილებს მაინც ვერ იშოვნის დიდს თეატრებში, რომ სამოწაფეო იაფი და რიგიანი წარმოდგენები გამართონ ქართველ მოზარდთა წყურვილის მოსაკლავად?...

ჰქმენით მადლი—კანდელი აანთეთ!...

— —

**ძალა— უფლება**

საქართველო მხოლოდ მაშინ იყო ძლიერი და უფლება-მოსილი, როდესაც ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა, ერთის რწმენით, ერთის მისწრაფებით შედუღებულს...

ხოლო ერთობა რომ ძალასა ჰქმნის, ძალა-კი—უფლებას,— არც ესაა საკამათო...

ჩვენ-კი, ჩვენის დაუდევრობით და, უმეტეს, ურთიერთის ქირდვნით, ძალაც დავკარგეთ, უფლებაც...

დღეს ამ დაქსაქსულ ძალთა შემოკრება გვმართებს...

ერის ძალასა ჰქმნის მის ყოველ შვილთა ერთ მიზან-შეწონილი, შეთანხმებული კულტურულ-ეკონომიური მუშაობა. ერის განზნევა-დასუსტება სწორედ მაშინ იწყება, როდესაც მისი ერთი ნაწილი უპირატესობის გზას დაადგება მეორის ხარჯით...

და ნურავინ იფიქრებს, ვითომც საქართველოს კეთილდღეობა შესაძლო იყოს ერთი რომელიმე წოდების დაწინაურებით. ჩვენი ქვეყნის წინსვლისთვის საჭიროა ძლიერი კომერსანტი-ვაჭარიც, მცოდნე მიწის მფლობელი-მეურნეც, ხელოსანი-მუშაც, ექიმიც, ვექილი—კანონმეტყველიც, ხუროთმოძღვარიც, მასწავლებელი-აღმზრდელიც, სხვადასხვა დარგის ხელოვანიც და სხ., ერთი სიტყვით, მთელი ერის შედუღება...

დაე, ყველას თავისი საკუთარი, კერძო მისწრაფება მოთხოვნილებანი ჰქონდეს, მაგრამ ენა, გვარტომობა, საუკუნოებით შეთვისებული კულტურა ხომ ერთი გვაქვს და ერთი მიწა-წყლის შვილნი ვართ!..

განა ხშირად ერთი ოჯახის შვილთ-კი არა აქვთ შინაურობაში სხვა და სხვა საქმე და უთანხმოებაც? მაგრამ ამის გამო საერთო ოჯახს როდი აქცევენ: ერთი ბაღ-ვენახებს უვლის, მეორე—ცხვარ ძროხას,—მესამე მინდორ-ველს, მეოთხე—ურემ-ქირაზე დადის, ერთი უფრო მეტი მორწმუნეა, ეკლესია-ჯვარობის თაყვანისმცემელ, მეორე ნაკლები, მაგრამ ყველანი საერთო მშობლიურ კერას არიან შეფარებულნი და ოჯახის კეთილ-დღეობისათვის ერთ მტკიცე ზნეობრივ სავალდებულო კანონს ემორჩილებიან...

ჩვენ კი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადაც გვითქვამს, წარსულში თუ კუთხური „მამულიშვილობა“, შენ-ჩემობა გვაფორიაქებდა, დღეს დასურ-ჯგუფური განხეთქილება გვღრღნის, — ეს ერთის მხრით, მეორე: უკულმართი, უფრო ჩვენი არსებობის საწინააღმდეგო გეგმით მოწყობილ, სწავლა-აღზრდის მოწყალეობით სრულიად მოვწყდით მშობლიურ კულტურას, დედა სოფელს, მიწა-წყალს... იქამდე დავიშხამენით, რომ ჩვენის ქვეყნის ასაყვავებელ-გამძლიერებელ ცოდნის მაგიერ სალაყბო განათლებით ვიჭურვებით, რომელიც, შეიძლება ყველგან გამოდგეს სამოხელეოდ, ჩვენში კი არა...

ოცი, ოცდა-ათი წელიწადია, რაც ასეთი უკულმართობისა და ჩვენი დიქსაქსული, წყალ-წყალა „მოღვაწეობის“ საწინააღმდეგო ხმა ისმის, ბევრი ჩვენგანი ცალცალკე დიდ გეგმასაც ადგენს, მაგრამ **მთლიანი გარკვეული**, ჩვენი არსებობისთვის შესაფერი მსოფლმხედველობა-კი ვერ შევიმუშავეთ, რომ **ყველა ქართველი**, — რა სარწმუნებასაც უნდა ალიარებდეს — ქრისტიანი, მაჰმადიანი, კათოლიკე, გრიგორიანი თუ სხვა; თავადი, გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, მუშა, თუ მოხელე, **ერთი ქართველური შეგნებით** გათვითცნობიერებული მას გავყვეთ...

ამიტომაც ბევრი ჩვენი გულის ნადები, ჩვენი ნაინატრი სურვილი განუხორციელებელი რჩება, ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა... რათა?

მადა, რომ რეალური ძალა — ძალა ერთიანობისა ვერ შეგვიქმნია, ისეთი ძალა, რომელსაც ყოველი ქართველი მოწიწებით დაემორჩილოს, მისი ყოველი დადგენილება გარდუვალ კანონად დაისახოს, და გარეშემაც ანგარიში გაუწიოს...

ამიტომაც გვმართებს დროით ვიზრუნოთ ეროვნული თანხის შესაქმნელად, არა მხოლოდ ნივთიერი თანხისა, ჩვენს პრესაშიაც რომ რამდენჯერმე მოიხსენიეს, არამედ ცოცხალი ძალისა: ახალი თაობა ისეთი გეგმით აღვზარდოთ, რომ მამულ-დედულს არ მოსწყდეს, უცხო კულტურის შესწავლასთან ერთად მშობლიურ კულტურას არ განეყაროს და თავს მუდამ თავის მამულის შვილად ჰგრძნობდეს. ასეთი თანხის შედგენა-კი მაშინ შეგვეძლება, როდესაც, როგორც ვსთქვით, მთელი საქართველო შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და აგრეთვე ყოველი ქართველი, სადაც უნდა ცხოვრობდეს, ერთი მეორეზე მტკიცედ იქნება დაკავშირებული, ერთის გულისცემით აღგზნებული... როდესაც ბურჟუა, არისტოკრატი, თუ დემოკრატი, სოფლელი თუ ქალაქელი, სოციალისტი თუ კერძო საკუთრების დამცველი, ქვეყნის შუა გული თუ განაპირა ნაწილი, მხოლოდ ერთის მიზნის გარშემო შემოკრებება... მაშინ ქართველის სიტყვას გასავალი ექნება, სურვილს — ძალა, ძალას-კი — უფლება...

როგორია ამის მისაღწევი პრაქტიკული გზა?

# კ. დ. ბალმონტიდან

## ჭაობი

ოჰ, ეს სიცოცხლე, უბადრუკი, გაცვებული,
უქარიშხალო, უგრძნობელი, უხმო, უძრავი!
არც კვნესა, სწორე, არც სიმღერა აღფრთოვანებული,
არც ღამე, ბნელი არც დღე, მბრწყინავი!

ბინდი, ბურუსი. ძლივს-და მბჟუტავ მკრთალ სინათლეში
არეულია სახეები და ფერადები
და სუნთქვენ ამ მკვდარ დუმილისა საბრძანებელში
მხოლოდ ყვავილნი, შხამიანები.

და ლომფოშონი, საზიზღარნი ჭაობის შვილნი
დრო და დრო მძინარ შლამ-ჭენჭყოდან ამოძვრებიან
და, რომ ცხოვრობენ აქ, სიამით თითქო აღვსილნი,
საზარ ფერხულში ჩაებმებიან!

**დუტუ მეგრელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიცოცხლე!.. სიცოცხლე!.

(ავადმყოფის დღიურიდან

გაზაფხულის საღამოს ხალხი ქალაქიდან ტყისაკენ მიეშურება სასეირნოდ.

არე-მარე კვლავ გამოცოცხლებულია. ბუნება ხარბათ დასწაფებია ცხოვრების ნექტარს ყოველი ბალახი, ყოველი ფოთოლი ხარობს, შრიალებს, და ათასნაირ ჰანგზე მღერის ცხოვრების სასიხარულო სიმღერას... ნაკადულიც ბანს აძლევს ბუნების ტალღათას სრბოლას. იგიც მხიარულად მილიკლიკებს ტყის გვერდით. იგი ხტის, იგიც ხარობს, რომ ბუნებას კვლავ დაუბრუნდა სიცოცხლე, რომ მისი მეგობარი ბუჩქები და ხეები კვლავინდებურად შრიალებენ, ძველებურად უვლიან ფოთლები ნელი ქარის სისინზე მხიარულ ფერხულს...

მხიარული ჩიტები კვლავ დაჰბრუნებიან თავიანთ ძველ ბუდეებს და დილიდან საღამომდე ახალ ცხოვრებისათვის ზრუნავენ... ჰიკჰიკით ამხიარულებენ ტყესა და ველს. ხის ლურჯი ბაყაყებიც-კი სითბოს გარეთ გამოუყვანია. ირგვლივ შეუწყვეტლივ გაისმის მათი მხიარული „ყა, ყა, ყა, ყა“, თითქოს რაღაცა სასაცილო რამ დაინახეს და მაზე ხარხარებენო... ყოველი ხიდამ მოისმის მათი ყიყინი და შორიდან ადამიანს გონია, რომ მთელი ტყე ხარხარებს, იცინის და ტაშს უკრავს სიხარულითო ..

და ყველა სიხარულით მოდის ამ ტყისაკენ—ეტლით, ქვევითით. აგერ ორი ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ხელი-ხელ ჩაკიდებული მხიარული სიცილით მიყვებიან ტყისაკენ გზის ნაპირას, აგერ ეტლით გაიქროლა ვიღაც ჩასუქებულმა კაცმა მსხვილი სიგარით პირში... იქ ყმაწვილებს სუფრა გაუშლიათ მდელოზე და მათი სიმღერა-სიცილი არეს ედება. აი, კიდევ ქალ-ვაჟი... ესენი კი ჩუმად მიდიან, არ ლაპარაკობენ... არა, ისინიც ლაპარაკობენ... და როგორ მგრძნობიარათ... განა ენით გამოთქვამს კაცი იმას, რასაც ხანდისხან საყვარელი არსების მკლავ შემოხვეული მკლავი იტყვის?! ილაპარაკეთ. ისაუბრეთ, მეგობრებო!..

აი მეც ნელ-ნელა მივდივარ ტყეში.

ძლივს, მეც აქ მოველ, დავახწიე თავი ჩემს ბნელ საკანს... მოვშორდი ტანჯვის სარეცელს... კმარა, მე აღარ შემიძლია მეტ ხანს წოლა .. მეც სიცოცხლე მინდა, მინდა სხვისი ბედნიერებით მაინც დავსტკბე. სხვის ბედნიერებას მაინც უცქირო!.. მივდივარ.. მაგრამ, აჰ!.. ამ გორაკზე უნდა შევისვენო, აღარ შემიძლია... ლურსმანსავით მომწოლია რაღაცა გვერდში, თითქოს მის გახვრეტას ლამობსო... ეს ხველა კიდევ... ეს ხველა. ოჰ, ღმერთო ჩემო, როდის რა მეშველება.., რა უნდა უყო ამ ხველას!?.

აი, ორი ქალ-ვაჟი მოდის ზევით... მომიახლოვდენ... გაკვირვებით მიცქერენ, თუ როგორ ვიხრჩვები ხველებით, ხის ძირას მწოლარე... გვერდი ამიარეს...

— ეი, მეგობარო... კოხის ბაცილების წინააღმდეგ არ არის რაიმე საშუალება?... მეგობარო!...

— რა სულელია?... მომესმა მათი ხმა...

არც კი იხედებიან ჩემსკენ, ისე მიდიან... აი, მათი სიცილიც მოისმის... იქნება მე დამცინიან,—თქვენ ხომ ხართ მაინც ბედნიერნი,.. იცინეთ, სანამ ცოცხალი ხართ, იცინეთ...

დაბლიდან მხიარული სიმღერა მოისმის. მე ისევ ვწევარ მინდორზე ხის ძირას... არა, არ მინდა დაწოლა. განა არ მეყო საწოლში ტრიალი?!, რისთვის უნდა ვიყვე გამონაკლისი ამდენ ხალხში! განა მე არ უნდა მიხაროდეს გაზაფხულის მოსვლა?! რათ ვერ დავსტკბე მე მისი მშვენიერებით?!..

ავდექი, მივეყრდნე ხეს...

— ეეეე.. სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე!. . ვიყვირე მე.. თითქოს ტყე შეინძრაო...

— ... იცოცხლეე!... ყრუთ გამომძახა ტყემ გაღმიდან...

ოჰ, შენ კი გენაცვალე, ჩემო ტურფავ, ჩემო მშვენიერო ტყევ!... მაშ ვიცოცხლებ... მაშ არ მოვკვდები, გენაცვალე, და კვლავ გნახავ შენ?!... ოჰ! .. რა კარგია, რა კარგია, რა კარგია სიცოცხლე, რომ იცოდე!...

მაგრამ ეს რაა... თავბრუ მეხვევა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ თუ ძლიერმა ყვირილმა დამასუსტა... კიდევ ხველება... სისხლი... ოჰ!... ვეცემი... აი აგერ ვიღაც კაცი მორბის ჩემს საშველად. მე ადგომა აღარ შემიძლია, მინდორზე ვგორავ.

— რა დაგმართნია, მეგობარო?.. მესმის უცნობის ხმა.

— სიცოცხლე, სიცოცხლე მწყურია... გესმის!.. ვბუტბუტებ მე...

— სიცოცხლე!...

— „იზვოშჩიკ“!... იძახის უცნობი კაცი, ალბათ მეეტლეს ეძახის...

მე აღარ მახსოვს, როგორ მომიყვანეს სახლში იმ მშვენიერ გაზაფხულის საღამოს, როდესაც მიმავალ ცხოვრებას ვეძახოდი...

მას შემდეგ სულ ვწევარ... ეხლაც ვეძახი მას, ეხლაც, მაგრამ არავინ ეხმაურება ჩემს ძახილს. არსაიდან ისმის საპასუხო გამოძახილი — იცოცხლეო!...

ჩემი თვალით ვხედავ, თუ როგორ დნება, იფერფლება სიცოცხლე ჩემი, ვით სანთელი ცეცხლის ალზე, თუ როგორ მშორდება და ქრება იგი, მაგრამ რა ვქნა, არ ითმენს ეს შეუპოვარი გული და კიდევ ვიძახი:

— სიცოცხლე მწყურია, სიცოცხლე!..





ვ. ლ. ბურცევი

გამოჩენილი პუბლიცისტი, ცხოვრობდა საზღვარ გარედ და მთელს ქვეყანაზე სახელი გაითქვა პოლიტიკურ პროვოკაციათა, განსაკუთრებით აზეფის ოინების, გამოაშკარავებით. ომი რომ დაიწყო, მამულიშვილური გრძნობით აღტყინებული, სამშობლოსკენ — რუსეთისკენ გამოეშურა, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები აფრთხილებდენ. საზღვარზე მოვიდა თუ არა, დაიჭირეს, გაასამართლეს და ციმბირს გაგზავნეს, სადაც თითქმის ერთ წელიწადს იწოწიალა სხვა და სხვა ციხე-დილეგში და მხოლოდ ახლა-ხან დაბრუნდა სამშობლოში, უმაღლესად ნაპატიები.

(„ოგ“)

# მეც მეუერთდი ლამაზებს

(ვაჟა-ფშაველას ხსოვნას)

მთას ავყევ, ვიწრო ბილიკით
მწვერვალს მოვექეც თავზედა:
მსურდა ბუნების წიაღში
მემღერა უცხო ხმაზედა.

თვალი მოვავლე მიდამოს,
მოქარგულს ათას ფერადა:
ცრემლი შევნიშნე ყვავილებს,
თვალებს მომსკდარი ჩქერადა.

გავკვირდი. ეკითხე: ვის გლოვობთ
და რათ ხართ კაეშნიანი,
როცა თავს მაყრით ალმასებს
და დღეც გინათებთ მზიანი?!

მომიგეს: „მოკვდა არწივი,
შვილი ფშავეთის მთებისა,
მის ქირ-ვარამზე მღერალი,
მთქმელი „ქებათა ქებისა“
ნაზი ბუნების მიჯნური,
აღსავსე მისი ტრფობითა,
ვით შვილს რომ გვიალერსებდა,
გვამეტყველებდა გრძნობითა!“..

დავღონდი. მივხვდი ვინც იყო —
მშობელი ერის დიდება:
მეც შეუერთდი ლამაზებს
და ცრემლი ერთად გვდინდება!...

ჩახრუხაძე

# თხრილებში

(ბრძოლის ველიდან)

თხრილებში სულ გაკმენდილი ისხდნენ ჯარის-კაცები.

წამის-წამ ისმოდა საშინელი გრგვინვა ზარბაზან-ყუმბარებისა.

აქა-იქ ცვიოდა თუჯის ბორჯღლები და ანადგურებდა რასაც კი მოხვდებოდა.

— ბიჭო, ბიჭო ტიტიკო!.. გაისმა ჩუმად თხრილებში.

— რა იყო, ბიჭო ლევან!..

— იცი ბიჭო, ცოტა არ იყოს შევშინდი ამ ოხერ ყუმბარების გრიალისაგან... და არ ვიცი, ღმერთმანი...

— რას მიჭქარავს ე ოტროველა... გაა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტინა ტიტიკომ: არა გ ცხვენიან?!. ხედავ ჩვენ ბიჭებს როგორ ლომივით იბრძვიან, შე რა დაგემართა?

— არაფერი, არაფერი! მანამ შენ დაგეხმაურებოდი, ცოტა წამთვლიმა.

სიზმარი ვნახე, ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი!...

ვნახე, ვითომც შინ ვიყავი, ჩემ დანიშნულს ჰელის გვერდზე ვუჯექი და ვეხუმრებოდი, ვითომც ისიც თან იცინოდა და თან თეთრ ყვავილებს მაყრიდა; ვითომ მეც აქ დიდობა მიმეღოს, უნდრაფიცრის ტანისამოსში ვიყავი გამოჭიმული.

ეჰ, ჰელავ, ჰელავ!.. მძიმედ ამოიოხრა ლევანმა.

არ ვარგა, ტიტიკო, ეს სიზმარი, კარგს არას მოასწავებს..

— კარგია მოსწყდი თავიდამ, ნუ მოჰყევი რაკარუკს ჩვენებური მკითხავივით. შენიშნა ტიტიკომ: რაც მოგვივა მოგვივიდეს, წერას ვერსად გავექცევით...

— ეე... მაინც.. ჰიჰო... ტიტი, გაუბედავად ხვეწნის კილოთი მიმართა ტიტიკოს ლევანმა: თუ ვინიცობაა რა ვიცი კაცნი ვართ, და მომკლეს, ჩემ ჯიბიდამ ამომართვი წერილი და ერთი თუმანი ჩემ ჰელას გადაეცი, შენ ნათლიდედის.

— კარგი, კარგი, მიწექ შენ, პატარა თვალი მოვატყუოთ, ის ყველას ემჯობინება!..

* * *

კვლავ სულ-განაბულნი მიწვნენ თხრილებში. ის იყო ტიტიკოს და ლევანის თვალების ქუთუთოებმა ერთმანეთს მოჰკიდეს პირი, ის იყო ორჯელ ტკბილად ამოიხვრინეს, რომ მოესმათ კიდეც განგაში.

ელდასავით წამოცვივდნენ თხრილებიდამ, მოიმართეს თოფები და გასწიეს ბძანებისამებრ...

საშინელი ჭექა-ქუხილი ყუმბარებისა, წვიმა სეტყვასავით ნაფრქვევი ტყვია თავზარს სცემდა ჩვენს მეომრებს.

წაიქცა ლევანი.

მივარდა ტიტიკო, ორჯელ-სამჯერ შეანჯღრია, ჩასძახა: ლევან, ლევან!.

მკვდარი იყო.

უცბად მოაგონდა სალოდავის ანდერძი და ჩაუყო ჯიბეში ხელი.

დახე მუხთალ ტყვიას! . შიგ შუბლში მოხვდა ტიტიკოსაც და ცივად, გაუნძრევლად განაბა სული, მხოლოდ ხელი ტიტიკოს დარჩა ლევანის ჯიბეში.

* * *

გათენდა დილა.

წითელ ჯვაროსნები თეთრ ბაირაღებით გაჩნდნენ ბრძოლის ველზე დაჭრილ-დახოცილთ ასაკრეფავად. გაისმა შემაზარი და ჩიზლით ძახილი უფროსისა.

— ეი, ბიჭებო, მოდით აქ!.. ხედავთ, აი ამ მოკლულს, მიუთითა ტიტიკოზე; გაიტანეთ, გაათრიეთ, შორს იქით კენ სადმე. ყველამ თითო მი ფურთხეთ და ყვავ-ყორანს გადაუგდეთ. ავაზაკი ყოფილა, ქურდი და მოკლულ მეომრის გამძარცველი, მაგას არ ეკუთვნის პატიოსან მეომართ შორის დამარხვა „საძმო სამარეში“, მხოლოდ ეს კი — მიუთითა ლევანზე: წესიერად დამარხეთ

ბრძანება ფიცხლავ შესრულდა.

**იგ. ეხტ. მჭ—შვილი**

# შოთა რუსთაველი
## და
# კონსტანტინე ბალმონტი

მრავლად თავმოყრილი საზოგადოების შორის ერთი უსინათლო, ორივე თვალით ბრმა ჭაბუკიც შევნიშნე: დარბაზის კუთხეში მიმდგარი, სმენა-გამახვილებული, შინაგანის ღელვით აღგზნებული, ტურფა ასულისკენ მიიწევდა გასწორგასწორა; ამომრეტილი თვალის ბუდეებით, რასაკვირველია, ტურფას ვერ ამჩნევდა, ხოლო კედელს მიტყუებული გაოცებული ასული კრთოდა: ეს ბრმა ძალა თითონ თუ ვერ შემნიშნავს და მოკრძალებით არ მომეპყრობა, თვალი მაინც როგორ დავახწიოთ!..

ეს იყო „არტ. საზ-ისა თეატრის დარბაზში, 3 ღვინობისთვეს, კ. ბალმონტის მიერ გამართულ შოთა რუსთაველის საღამოზე.

ამ სურათმა უნებლიეთ გამითვალისწინა ჩვენი მწერლობა-კულტურის ეგვაროვანი ხანის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირგვინი შოთა და რუსეთის მოაზროვნე საზოგადოება.

ნაწილი მისი თითქო იდუმლივ მოიწევდა ჩვენის წარსულის შეგნებისაკენ, მაგრამ საგანს ტრფიალისას-კი ვერ ჰხედავდა; ჰგრძნობდა, რომ თავისუფლად შენაერთ ქვეყნის—საქართველოს წარსულში იყვნენ დიდებულნი კაცნი, მათ შორის შოთა რუსთაველი, საშუალო საუკუნეთა ევროპაში სიყვარულის პირველი ჯვაროსანი, ახლო კი არავინ ეცნობოდა მის სულიერ ავლა-დიდებას, ანგარიშს არავინ უწევდა: სიტყვით საქართველოს რუსეთის გვირგვინის ძვირფას თვალად აღიარებდენ, საქმით-კი მის წარსულს აფუჩეჩებდენ, აწმყოს ფეხქვეშ სთელავდენ...

ხოლო როდესაც ინგლისის სახელგანთქმულმა ქალმა, ნეტარ ხსენებულმა მისს მარჯორი უორდროპმა ჩვენი დიდების შოთას შემოქმედება—„ვეფხის ტყაოსანი“ ინგლისურად გადათარგმნა, რუსეთის სახელოვანმა შვილმაც მაშინ გაიცნო, ისიც შემთხვევით, ოკეანეზე მოგზაურობის დროს... იცნო და შეიყვარა, ვითარცა მზე—სიცოცხლის მწყურვალმა ბუნებამ... მგოსანმა იცნო მგოსანი და გადასწყვიტა გადასთარგმნოს მისი შემოქმედება თანამემამულეთა თვალთა ასახილავად: აჰა, იხილეთ საქართველოს მნათობი, დიდება მეთორმეტე საუკუნისა, რომელმაც სიყვარულის უდიდებულესი ძეგლი შექმნა მაშინ, როდესაც ევროპაში ამაზე ჯერ არავინ ამეტყველებულიყო...

რუსეთის ეს სახელოვანი შვილია მგოსანი კონსტანტინე ბალმონტი, გრძნობა-ნაზი, ენა-მარგალიტი, გონება-მახვილი, მართალია, ჩრდილელი, მაგრამ სამხრეთის ჰავით გამთბარი..

თავის მხატვრულ სიტყვაში მგოსანმა მკაფიოდ გაარკვია დიადობა შოთასი, ქართული ენის განსაკუთრებულ თვისებათა მიზეზები; აღნიშნა ისიც, რაც უნდა კარგი თარგმანი იყოს, დედანს ვერ შეედარებაო, მით უმეტეს შოთას ნაწარმოების თარგმნაა ძნელიო, მაგრამ—მე მიყვარს ძნელის მიახლოვება და მისი ძლევაო...

შესავალი სიტყვის შემდეგ წაიკითხა „ვეფხის ტყაოსანი“ს რამდენიმე თავი და ზოგიერთი ნაწყვეტი.

თარგმანი დედნის მაგიერობას ვერ სწევს.. დედანში თუ აზრთა სიღრმეს, შედარებათა სიდამაზეს, ყოველ პწკარში რაღაც იდუმალ დიადობას ჰხედავთ და ჰგრძნობთ, თარგმანში ისმენთ მშვენიერ ლექსთწყობილობას, საუცხოვოთ გალექსილ ამბავს... თითქო შოთას სიგრძე-განი რუსულს ენას ვერ დაეუფლოს... შოთას თარგმნა მესამე პირით არ შეიძლება, არც ის კმარა მხოლოდ სიტყვები გადაიღო პირდაპირ,—აქ ენის სულის, განსაკუთრებით შოთას სტილის შეთვისებაცაა საჭირო.. პატივცემულს მგოსანს ბალმონტს-კი, როგორც სჩანს, თარგმნის თარგმნით უსარგებლნია.

მიუხედავად ამისა, ჩვენდა საამაყოდ და პატივცემულ მგოსნის სადიდებლად უნდა ითქვას, რომ თარგმანი შიგა და შიგ—საუცხოვოა, გასაოცარი მოხდენილობით გადაღებული: რაც შეეხება შოთას ბრძნულ სიტყვებს—დამაკვირდებს, ზოგი სიტყვა სიტყვითაც კი არის გადაღებული, მაგრამ მაინც რაღაც წყალწყალაა,—ის სიძლიერ და სხარტად გამოთქმა, შოთას რომ სჩვევია, თარგმანში ვერ შევნიშნეთ (სმენის დროს). შოთას ბრძნული სიტყვები მთელი რვა საუკუნე ქართველი ხალხის სამუდამოდლო ანდაზებად გადაიქცა, უცილობელ ჭეშმარიტებათა გამომხატველად, და სასურველია მათი ხაზგასმით გადაღება...

რამდენადაც პირველი მოსმენით შეიძლება დავასკვნათ, თარგმანის ენა მდიდარია, პოეტურ ფერდოვანი, ლექსთწყობა მრავალ რითმოვანი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შოთას ასეთი ენა მზიანი, შეგნებული მთარგმნელი არავინ გამოსჩენია.

მისი თარგმანი რუსეთის საზოგადოებას გააცნობს, პატარა საქართველო დამოუკიდებლობის ხანაში რა ბუმბერაზ შვილებს ზრდიდა... გააცნობს და აგულისხმებს, რომ უფრო ღრმად ჩაუკვირდენ დღეს ხოლო ოდესმე სამოთხის დარად ყოფილ საქართველოს შვილებს. კ. ბალმონტის ღვაწლი კიდევ იმითია ღირს-საყურადღებო, რომ გარუსება-გადაგვარების გზაზე შემდგარი ქართველობა ახლა მაინც გაიგებს, რა განძი გვქონია, რა ზნეობის, გონებისა თუ სიყვარულის სახარება, და მშობლიურ ლიტერატურას უფრო თავგამოდებით დაეწაფება.

მადლიერი ქართველი საზოგადოება დიდის ზეიმით შეეგება რუს მგოსანს: მიართვა შოთა

რუსთაველის დიდი სურათი, დაფნის ჩარჩოში, გვირგვინებით მორთული და ქართველ მწიგნობარ-მოღვაწეთა წარწერებით შემკული. საღამოს დასასრულ დამსწრეთ ბალმონტი გამოიხმეს და სთხოვეს საკუთარი ლექსი წაეკითხა, მაგრამ ბალმონტმა მიუგო—„რუსთაველის შემდეგ ადარაფერი წაიკითხებათ". ამ დროს ვიღაც აღტაცებულმა წამოიძახა „ბალმონტი რუსთაველზე მაღლაა", ამაზე ბალმონტს სახეზე ღრუბელმა გადაჰკრა, თავი გააქნია და მიუგო —„ არა! ეს მართალი არ არის!„ საზოგადოებამ მაინც ორი ლექსი წააკითხა (ერთი მათგანი, „საქართველო", ჩვენს ჟურნალში იყო დაბეჭდილი).

შეუდარებელი სახამი ძვირფას, ენა-ვარდოსან მგოსანს: საქართველოს ძენი მუდამ მადლობით მოიხსენიებენ მის სახელს

ვუსურვებთ მალე დაგვიბრუნებინოს თავისი ძვირფასი თარგმანი და გამოაქვეყნებინოს კიდეც, რომ გრძნობა უსინათლოებსაც მოეფინოს სიყვარულისა და მშვენიერების უშრეტი შუქი.

იოსებ არიმათიელი



ნ. გოცირიძე--ექიმ გრუშნევსკის როლში (ტ. რამიშვილის „მეზობლებში," დღეს სახალხო სახლში)

* * *

(უმღვნი ომში წასულს ძმებს)

ღამე არის, ცის სივრცეში ბადრი მთვარე ლაღად სცურავს  
და ტანჯვის ზღვა დედა-მიწას გლოვის ლეჩაქს თავს ახურავს!  
არ-რა იძვრის, მხოლოდ სიო დანავარდობს მთათ და ბარად,  
და ახლად შლილ ვარდის ყლორტებს აქანავებს ჩუმად, წყნარად!..  
სიჩუმეა, სძინავს სოფელს, ჭირში მყოფ და ოფლში მცურავს,  
სძინავს სოფელს, ცრემლის მომგვრელს, და მის ქოხებს ძაძი ჰბურავს.  
დუმილია.... და ამ დუმილს მხოლოდ არღვევს კვნესა მწარე,  
კვნესა სევდის ქართ ამშლელი, ოხვრით სავსე და მწუხარე!..  
....ეს დედაა, ღვიძლ შვილს სტირის, შავ ცხოვრებით წამებული,  
შვილს მის ნადაგს, ბრძოლის ველზე გაუგმირეს ტყვიით გული!.  
ოჰ, იტირე, საცოდავო, ვინ შეგიშრობს ცრემლებს მწველსა,  
ვინ გაგიქრობს სევდა-ვარამს, მტანჯველ წუთებს, გულის მკვლელსა:  
როს არ ისმის იმედის ხმა, ხმა მქუხარე მძლეთ-მძლეველი,  
როს უმანკო სისხლით ირწყვის მთა და ბარი, ტყე და ველი!...  
როს ჩაგრულთა ცის კაბადონს ნისლი ჰბურავს შავი, ბნელი,  
და განცხრომის, გამარჯვების დავლურს უვლის ბელზებელი!..

ხ. ვარდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოლომონ ლეონიძე
ერეკლე მეფის მსაჯული და საქართველოს დესპანი,
გარდაცვ. 100 წ. შესრ. გამო (ზ. ჭ. ძველი ნახატ.)

# ბედნიერი დღე

(დასასრული. იხ, „თ. და ც." № 30—40)

**გიორ.** დვა"

**კოტე.** / **აპოლ** { საშინლად კანკალებენ. შეუმჩნევლად დამბაჩებს სეკუნდანტებს მიუშვერენ დაელიან მესამე ნიშანს)

**გიორ.** (მივარდება) ეი! რაინდებო! ეს დამბაჩები იქით წაიღეთ, ერთმანეთის მაგიერ ჩვენ არ ამოგვხოცოთ. რათ დაგიხუჭიათ თვალები? გაახილეთ! აი ასე დაუმიზნეთ ერთმანეთს. (გაუსწორებს ერთსაც და მეორესაც დამბაჩას) მოემზადეთ! „დვა".

**კოტე.** (კანკალით, სხაპა-სხუპით) „გასწი მერანო... გასწი მერანო!... მიფრინავს, მერანი! მერანი! მერანი?"

**აპოლ.** (კოტესთან ერთად) „იყო როსტევან... შავი ტაიჰი! თავი სვეტსა შეუტაკა, როსტევან, ავთანდილო, (ძლიერ ჩქარა) ტარიელ! ტარიელ! ტარიელ!"

**გიორ.** (ხმა მაღლა ყვირის) „ტრი" (აპოლონ და კოტე გაისვრიან დამბაჩებს, ხელიდან გაუვარდებათ და პირქვე დაეცემიან. სეკუნდანტები ძალზე იცინიან, ცოტა ხანს სიჩუმეა)

**აპოლ.** (ცოტა ხანს შემდეგ ნელა გაახელს თვალს, მარჯვენა ხელს გაანძრევს და ტკბილად გაიღიმებს, თავს წამოსწევს, ხელს ისვამს ტანზე და გახარებული ჩუმი ხმით ამბობს) ცოცხალი ვარ?!!. არ მომკვდარვარ?.. ღმერთო დიდებულო! (თითს გაიშვერს კოტესკენ და შიშით ამბობს) მაშ ის მოკვდა, ის! (ისევ დასდებს თავს და თვალებს დახუჭავს)

**კოტე.** (ნელა გაახელს თვალებს შუბლზე ხელს გადაისვამს გაიღიმებს. არ სჯერა, თუ ეს სინამდვილეა. თავს წამოსწევს და თავის სხეულს თვალს ჩაავლებს და ნელი ხმით ამბობს) ოხ, ღმერთო! ცოცხალი ვარ?!! ოჰ, რა კარგია? მოწყენით თითს გაიშვერს აპოლონისკენ) მაშ ის მოკვდა! საბრალო, რათ შემომაკლა თავი?! (დასდებს ისევ თავს და თვალებს დახუჭავს, სეკუნდანტები ყურს უგდებენ და სიცილით იხოცებიან)

**აპოლ.** (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ნელა წამოსწევს თავს, აიწევა და შიშით გადახედავს კოტეს) მოკვდა! შიგ შუბლში მოვარტყი ტყვია! (უყურებს)

**კოტე.** (ისიც ნელა წამოიწევა,) მოკვდა, საბრალო აპოლონი! შიგ მუცელში მოვარტყი ტყვია.

**სანდრო.** როგორც ეტყობა ადგომა აღარ უნდათ.

**გიორ.** (მივა ახლოს და ხმა მაღლა) მეომარნო, ადექით, დუელი გათავდა!

**კოტე.** (ნახევრად წამოიწევა, აპოლონს არ უყურებს) გიორგი! გთხოვთ ისგაატანინოთ, მე არ შემიძლიან მისი ცხედრის დანახვა.

**გიორ.** (იცინის) ვინ ის?

**კოტე.** (არ უყურებს, ისე თითს გაიშვერს აპოლონისკენ) აი ის განსვენებული აპოლონი. საშინელებაა მისი დანახვა! პირდაპირ მუცელში მოვარტყი, ნაწლევები სულ გადმოუცვივდა. გთხოვ, გემუდარები გაიტანეთ, არ შემიძლია დანახვა. ისე ვერ ავდგები. (დასდებს ისევ თავს და თვალებს დახუჭავს)

**გიორ.** (სიცილით) აპოლონი ცოცხალია, თვითონ ადგება.

**კოტე.** (გაოცებული წამოჰყოფს თავს და გადახედავს აპოლონს) მაშ ცოცხალია? (ნელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელა წამოდგება) მაშ რათ გდია ეგრე, სწორედ სასწაულია. მე ჩემის თვალით დავინახე, რომ ტყვია მუცელში მოხვდა. (გაოცებული უყურებს)

**გიორ.** ეხლავე დარწმუნდები, რომ ცოცხალია. (მივა აპოლონთან) აპოლონ ადექით!

**აპოლ.** (თვალებს გაახელს) გთხოვთ, გიორგი, ნუ დამანახვებთ. შუბლი სულ დამტვრეული აქვს, მე ვერ ავიტან მის დანახვას.

**გიორ.** (სიცილით) ვისზე ლაპარაკობთ?

**აპოლ.** (არ იხედება, ისე თითს გაიშვერს კოტესკენ.) აი ის, საბრალო კოტე! პირდაპირ შუბლში მივარტყი. ჩემის თვალით დავინახე, როგორ ლაწა-ლუწი მოადინა შუბლის ძვლმა და ტვინმა ნიაღვარივით გადმოხეთქა, გთხოვთ გაიტანოთ, სათუთი გული მაქვს, არ შემიძლია დანახვა. (დასდებს ისევ თავს და თვალებს დახუჭავს)

**გიორ.** (სიცილით) ადექით! ადექით! კოტე ცოცხალია! აბა გამოიხედეთ!

**აპოლ.** ცოცხალი?! (ასწევს თავს და შიშით გაიხედავს კოტესკენ. დაინახავს, რომ კოტე ფეხზე დგას და გაოცებული პირს დააღებს, სწრაფად წამოდგება და შეხედავს) ცოცხალია?! მაშ ეს სიზმარი იყო? ჩემის თვალით დავინახე, რომ ტყვია შუბლში მოხვდა. (ორნივე უყურებენ ერთმანეთს, ტკბილად გაიღიმებენ)

**გიორ.** ყმაწვილებო! მაშ მოდით მივულოცოთ. (ყველანი მივლენ და ულოცავენ)

**სანდრო.** (კოტეს და აპოლონს) ყმაწვილებო! გილოცავთ ბედნიერ დღეს. დღევანდელი დღე დიახაც, რომ ბედნიერი დღეა როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის და მთელი საქართველოსთვის, ბედნიერია დღევანდელი დღე, რომ ორი დიდებული ვარსკვლავი შერჩა სამშობლოს ცას და წყვდიადმა არ მოიცვა ორივე. ორგვარათ მოსალოცი ხართ: ერთი რომ თქვენ გმირულად შეასრულეთ თქვენი ვალი და თქვენის შეუპოვარი ბრძოლით თვალ-წინ დაგვიყენეთ ძველი ქართველი მეომარი და მეორე, რომ ცოცხლები გადარჩით სამშობლოისა და მთელი ქვეყნის საკეთილ-დღეოდ. გილოცავთ ამ დიდებულ და ბედნიერ დღეს. (მივა და ორივეს ჩაჰკოცნის) ეხლა რიგი თქვენზეა. (აპოლონ და კოტე გადაეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან)

**აპოლ.** (შუბლს უსინჯავს) არაფერი მოგხვედრიათ.

**კოტე.** არა (მუცელზე ხელს გადაუსვამს) თქვენა?

**აპოლ.** არა.

**გიორ.** (სიცილით) რა უნდა მოგხვედრიდათ, ყმაწვილებო, როდესაც თქვენგან გასროლილი ტყვიები კავკასიონის მთებისკენ გაემგზავრნენ. (ყველანი იცინიან)

## IV

**იგინივე და სალომე** (შემოიჭრება)

**სალ.** (გიჟივით ყვირის) სად არის ჩემი შვილი, სად? ცოცხალია? დაინახავს აპოლონს მივარდება, გადაეხვევა და დიდხანს ჰკოცნის. შემდეგ სხვებს ეხვევა და იმათაც ჰკოცნის. სიხარულით აღარ იცის რა ქნას) შვილო აპოლონ, ცოცხალი ხარ, გენაცვალოს დედა. (მიაბრუნ-მოაბრუნებს) ღმერთო! რა ბედნიერი დღე გამითენდა, შვილი ცოცხალი მყავს.

**აპოლ.** (ღიმილით) კარგი, რა ამბავია?

**სალ.** (ეხვევა) როგორ თუ რა ამბავია? მეორედ დაიბადე დღეს. დღევანდელი დღე ბედნიერი დღეა. (მივლენ ყველანი სათითაოდ და ულოცავენ სალომეს ბედნიერ დღეს. სანდრო მიუტანს სერთუკს კოტეს და ჩააცმევს აპოლონს. ყველანი ერთად შეჯგუფდებიან) აბა, ყმაწვილებო, ხომ იცით რა გვმართებს დღეს. მე უკვე ამოვარჩიე მწვანე ლორაკი ტყეში. თამადად უთუოდ ქალბატონი სალომე უნდა ავირჩიოთ.

**ყველანი** (იცინიან) სალომე! სალომე!

**სალ.** (შემოპრიწიალდება და ტაშს შემოჰკრავს) თანხმა ვარ, თანხმა!

**გიორ.** (გაივლის ცოტას და ეძახის) ბესო! ერეკლე! მოდით! (შემოვა ორი ბიჭი, ერთს სანოვაგე მოაქვს და მეორეს დიდი ტიკით ღვინო მოუდევს ზურგზე. გაჩერდებიან) აი, ბატონებო, რა კარგია წინ დახედულობა. მე გულმა მიგრძნო, რომ ასე კეთილად დაგვირგვინდებოდა დღევანდელი ომი და უკვე ყველაფერი მოვამზადე. აბა გავსწიოთ. (შემოსძახებენ: „ქართველთა ხელი ხმალს იკარ“ და ნელ-ნელა ყველანი ერთად მიდიან. უკან ბიჭები მიჰყვებიან)

**ფ ა რ დ ა**

(დასასრული)

**პ. ირეთელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიდევ თეატრის შენობის აგების შესახებ

**ჩემი წერილი:** „დავაჩქაროთ თეატრის შენობის აგება“ („თ და ც“, № 32) გადაბეჭდა მხოლოდ „საქართველომ“ და „განთიადმა“, სხვა გაზეთებმა კი არ ისურვეს გადაბეჭდვა, თუმცა მე მივმართე თხოვნით ყველა გაზეთს, გადაებეჭდათ.

ეს უცნაური და სამწუხარო ამბავი, რა თქმა უნდა, საკმარისად ახასიათებს ზოგიერთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ მმართველებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ მწერლობის და ჟურნალისტობის ეთიკა მოითხოვს ამგვარ წერილების გადაბეჭდვას და დავარწმუნებთ ჩვენს რედაქტორებს, რომ სხვაგან და სხვა ერის შორის ამგვარი მოვლენა ძნელი წარმოსადგენია.

მე პირადად ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღებას არ მივაქცევდი, რომ ამასთან არ იყოს შეკავშირებული, ერთის მხრივ, გულგრილობა თეატრის შენობისათვის ფულის შესაგროვებლად ამორჩეული კომიტეტისა და მასთან ერთად საზოგადოების გამგეობისაც, ხოლო მეორის მხრივ შემცდარი აზრი, ვითომ დღევანდელს, ჩვენთვის გაჭირებულს და სამგლოვიარო დღეს, თეატრის შენობისთვის ფულის შეგროვება მოუხერხებელი და დასაძრახისი იყოს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ამ აზრს და, აი, რატომ.

ჩვენი ერი, მეტადრე ჩვენი სოფლობა, დღესაც, გუშინაც და ხვალაც ისეთ გაჭირვებაში იყო, არის და იქნება, რომ არასოდეს არ ყოფნის მას თავისი შემოსავალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ჩვენი ერი ჯერ კიდევ შემოსავლიდან ფულის გადარჩენაზე და მომავლისათვის შენახვაზე ვერცკი იფიქრებს.

თუ აქა-იქ მოიპოვება რამდენიმე პირი, ვისაც ყველა საჭირო ხარჯის გაძღოლის შემდეგ გროშები გადარჩება, ესენი უთუოდ სოვდაგრების და ვაჭრობის გზას ადგიან და არა ხვნა-თესვას. შესაძლებელია მომავალში და ახლო მომავალშიაც, ფერი იცვალოს ჩვენმა მეურნეობამ, ხოლო დღეს-კი მისი მდგომარეობა არა სანატრელია. მის დაგვარად ჩვენს მეურნეს შემოსავალი თვის შესანახადაც არ ყოფნის და სუყოველთვის იმისაგან ერთი ორი გროშის გამორთმევა კი პირიდან ლუკმის გამოგლეჯა იქნება. ამისდა მიხედვით ჩვენ თავის დღეში ახლო მომავალში მაინც, ვერა ვპოვებთ იმ გვარ დროს, რომ ჩვენს სოფლებში ფულის მოგროვება მოსაწონი საქმე იყოს. ჩვენში მეურნისაგან ფულის გამორთმევა უდრის გაჭირებულისგან ფულის გამორთმევას.

გაჭირვებაც არის და გაჭირვებაცა, მეტყვიან. დღეს გაჭირვება-კი არა, სიმშილიაო.

ამაშიაც ვერ დავეთანხმებით. მართალია სახნავ-სათეს-ვენახები გაფუჭდა, წყალდიდობამ და წვიმებმა წალეკა, ომში მუშა-ხალხი წაიყვანეს, მაგრამ მაინცა და მაინც ჩვენს მეურნეს დღეს ხელში ფული უფრო მეტი აქვს, ვიდრე სხვა დროს; აი რატომ: ოჯახში მჭამელი პირი დაცოტავდა, ხოლო ვინც ომში წავიდა, იმის ცოლ-შვილს მთავრობა ფულით ხელს უწყობს.. ყველგან შრომის ფასმა ერთი-ორად და სამად აიწია, ასე რომ, ვისაც სახლში სამეურნეო საქმე არა აქვს, მუშაობით კაიძალი ფულის აღება შეუძლიან.

სოფლებში ღვინის სმა აიკრძალა და იქ, სადაც გლეხს თითქმის მთელი თავისი შემოსავალი სოფლის დუქანში მიჰქონდა და ღვინოში ფლანგავდა, ახლა ჯიბეში რჩება.

ყველა ეს იმისთვის-კი არ ჩამოვთვალე, ვითომ უცნაურ აზრს ვამტკიცებდე, დღევანდელი დღე სოფლისათვის გასახარებელი და სანატრელი იყოს. ვიმეორებ, დღევანდელი დღე გაჭირებული და სამგლოვიარო ჩვენი სოფლისათვის. მაინც დღეს ჩვენი სოფლელი, რასაკვირველია ყველგან-კი არა, საქართველოს მეტ ნაწილში, უფრო ადვილად ამოიღებს ჯიბიდან რამდენიმე მაურს და მოგცემთ, ვიდრე სხვა დროს.

აი, მოსაზრება, რომელიც არღვევს იმ „ღრმა და ბრძნულ“ რწმენას, ვითომ დღეს ფულის შეგროვება თეატრის შენობისათვის, შეუძლებელი და მოუხერხებელიაო.

მაგრამ, რად გვინდა ყველა ეს? დმათანხმებით, რომ ნება-რთვის აღება, „აგურების“ (როგორც „თ. და ც.“ № 32 მეთაურში იყო გამოთქმული) და მარკების დაბეჭდვა სოფლის კომიტეტების დაარსება სრულებითაც

არ ნიშნავს იმას, რომ უთუოდ დღესვე მოვკიდოთ ხელი სოფლებში ფულების კრეფას.

დღეს ჩვენშიაც ბევრია ისეთი ბედნიერი, რომელსაც სისხლის დვრამ, ომიანობამ ძალიან ხელი შეუწყო და დიდძალი ფული ჩაუგდო ხელში. აიღეთ, თუ გინდათ, ის დიდძალი ელემენტი, რომელმაც სამხედრო სამსახურში ასეთი უხვი წყარო იპოვა, ისეთ ჯამაგირებს იღებს, რომ სიზმრადაც არ მოელანდებოდა. განა ჩვენი საზოგადოების ეს ნაწილი სწორედ ახლა არ გადიხდის სათეატრო წვლილსა?

აი, სწორედ საზოგადოების ამგვარ ელემენტებისათვის უნდა დავაჩქაროთ ფულის შეგროვების დაწყება, თორემ ვინ იცის: ხვალ-ზეგ ეს ჯამაგირები გაუქმდეს და შემოსავლის უხვი წყარო შემოგვაკლდეს....

ამისაგამო, გგონებათ, ძალიან შემცდარნი არიან ისინი, რომელნიც, ვითომდა დროების გამო, აგვიანებენ თეატრის შენობისათვის ფულის შეგროვებას. საჭიროა დავჩქარდეთ, ეხლავე დავიწყოთ და გავაკეთოთ ის, რასაც შევიძლებთ.

თეატრის ასაშენებლად ისეთი თანხაა საჭირო, რომ ერთ და ორ წელიწადში ვერ მოვახერხებთ მის შეგროვებას... ცხადია, არამც თუ ომიანობას, არამედ მშვიდობიანობის დროსაც დაგვჭირდება ფულების შეგროვება...

არ შეგვიძლიან აქვე ერთ ჩვეულებრივ ჭორიკანობასაც არ შევეხოთ. ჩვენში ხომ საზოგადოდ გავრცელებულია, ერთმა რომ რამე საქმე დაიწყოს, მეორე უნდა გამოტყვრეს და დაიწყოს, ეს შენი აზრი-კი არა, ჩემიაო, პირველად მე მოვიფიქრეო და სხ....

ჩემი წერილის შემდეგაც, თურმე, ზოგიერთებმა დაიწყეს: გძელიშვილმა-კი არა, ჩვენ მოვიგონეთ ესაო. მე არაფერი ახალი მანქანა არ მომიგონია, მხოლოდ ფულების შესაგროვებლად ის საშუალება აღვნიშნე, რომელიც აადვილებს ამ დიდი თანხის შეგროვებას და რომელიც დიდიხანია შემოღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. როცა შტატს დასჭირდება რომელიმე საზოგადო და ძვირფასი შენობის აგება, შტატის მმართველობა გამოუშვებს ხოლმე თავისებურ იაფ ფასიანს აქციებს იმ თანხისას, რამდენიც საჭიროა, და მიჰმართავს შტატში მცხოვრებლებს, რომ შეიძინონ აქციები და საზოგადო შენობის აქციონერად, ანუ მისი ხარჯის მონაწილედ და შენობის პატრონთაგანნი გახდნენ.

ამგვარ აქციებად გამოუშვებენ უმეტეს ნაწილად პატარა მარკებს, რომელზედაც აგური ან სხვა რამე სურათია დახატული. ვისაც სურს, რამოდენიმე აგურს იყიდის და ამ აგურების ფასით გახდება მონაწილე შენობის ხარჯში. ამგვარად შტატში საზოგადო შენობის პატრონად ხდება შტატის ყოველი მცხოვრებელი—ყველანი. შტატში რომ იკითხოთ, უნივერსიტეტის შენობა ვინ ააშენაო, გეტყვიან: შტატების მთელმა მცხოვრებლებმაო.

ჩვენც ასეთი საშუალება აღვნიშნეთ და გვჯერა კიდეც, რომ ამ საშუალებით ადვილად და ჩქარა შეგროვდება თეატრის ასაშენებლი თანხა. ზოგიერთებს ეხლა ეტყობა, სურთ თავის „მოგონებად გამოაცხადონ ეს საშუალება. ამ ახირებულ სურვილს ჩვენ დიდის სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ და ვისაც უნდა, იმას უძღვნით ამ საშუალების პირველად მოგონებას ჩვენს წერილში რომ იყო აღნიშნული. ჩვენ მივხვდით კიდეც, რომ ამ გვარი პირნი გამოჩნდებოდენ ჩვენში და პირველს წერილშივე აღვნიშნეთ, რომ ჩვენკი არა, სხვების ინიციატივაა მარკებით ფულის შეგროვება. ჩვენ ვწერდით: „ზოგიერთმა განიძრახა მარკების გამოცემა?“ დეე ეს ზოგი იყოს ის, ვისაც სურს პირველობა და ინიციატივა ამ საქმეში. თუ სურთ, მარკებზედაც დავბეჭდავთ იმათ გვარებსაც, ოღონდ საქმე დაჩქარდეს და განხორციელდეს.

გ. გძელიშვილი

# ხელოსანთა კლუბი

(ხელ. კლუბ. სცენაზე წაკითხული 22 ენკენ.)

დიდებული საქმე გახლავთ:
ხელოსნებმა გახსნეს კლუბი,
დღეის შემდეგ მის გავლენით
მოისპობა თრობა-ჩხუბი.

გავსწორდებით მუშა ხალხი,
მით გონებით გავნათლდებით,
ძველსა წესებს გზას აუქცევთ
და ცხოვრებით განვახლდებით.

მაშინ, როცა შრომის შვილი
თავისუფლად კლუბში შავა,

იმედია, გაფართოვდეს,
კლუბის საქმეც წინ-წინ წავა.
თუ რომ ყველას უფლება აქვს
შიგ იარო-ს თანასწორად,
და თუ იგი არ გაიყო
ორ გვარად, ორ კატეგორად...
ხელოსანი ორ გვარია:
მშრომელი, თვით ოფლის მღვრელი,
და მეორე განცხრომის-ძე, —
თავზე მდგომი, მბრძანებელი.
პირველს ჰქვიან ხელოსანი,
მომუშავე, სხვის ქარგალი,
მეორეს კი ხაზეინი,
ვისაც ამაღლებს ფულის ძალი.
და ეს კლუბიც ხელოსანთა
სახელით არს მონათლული,
როგორც ვხედავ ქარგალს შესვლის
არ ჰქონია ნება სრული.
მეტადრე თუ ღარიბია,
ტანთ-საცმელით დაბალ ფასის,
თუ გინდ ჰქონდეს თავში ტვინი,
შიგ მყოფელთა ათჯერ ასის, —
არ უშვებენ ამისთანებს:
— „უნდა გეცოს სუფთადაო,
გინდ იქურდე, გინდ გაცარცვე,
გინდ იშოვნე მუქთადაო“.
ერთს უბრძანა ხარაზოვმა:
„პინჯაკზე გაქვს აგერ ლაქა,
და ყელიან ჩექმებიანს
ვერ შეგიშვებთ, ვერა, აქა!
ტანთ ჩაიცვი ევროპულად,
გინდა იყავ ავაზაკი,
მაშინ ყველა პატივს მოგცემს,
სუფთად გეცოს ტანზე რაკი“...
აქ პატრონმა არსენამაც
გულდასმითა დაამტკიცა:
„ეგრეაო, როგორც ბრძანებს!“ —
თავის წვერი დაიფიცა...
რამდენი ხნის სანატრელი,
როგორც იყო, აგვისრულდა:
ვინც კი მისთვის სისხლი ღვარა,
ის კი შესვლას დანატრულდა...
დიდებული საქმე არის,
ხელოსნებმა გახსნეს კლუბი,
მაგრამ დღეს-კი შესავალში
ყოველ წამში ხდება ჩხუბი!...

ა. განჯის-კარელი

# დიქცია

## გამოთქმა

გადავიდეთ ასოებისა და სიტყვების სამეფოში.

ძალიან ბევრსა ჰგონია, კარგი გამოთქმა, ე. ი. ტკბილი, მკაფიო, ნათელი და გარკვევითი ლაპარაკი ადამიანს დაბადებითვე აქვს დაყოლილი და აქ სწავლას, ხელოვნებას არავითარი ანუ ძალიან ცოტა მნიშვნელობა აქვსო.

ეს აზრი ერთის მხრივ მართალია. ზოგს, მართლაც, ტკბილი, მკაფიო გამოთქმა დაბადებიდანვე აქვს დაყოლილი ისე, როგორც ზოგს ტკბილი სასიამოვნო ხმა. მაგრამ ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ ტკბილი და მოხდენილი ლაპარაკის სწავლა არ შეიძლებოდეს. რასაკვირველია, იმისთვის, ვისაც ბუნება ხელს უწყობდა და პატარაობიდანვე მკაფიო ლაპარაკს იყო დაჩვეული, იმისთვის-მეთქი გამოთქმის გაუმჯობესობა უფრო ადვილია, ვიდრე იმისათვის, ვინც ამ ყურადღებას მოკლებული იყო, ეს ცხადია; მაშასადამე, საქმე მხოლოდ შრომაა.

კარგ გამოთქმას მსახიობისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვა ვისთვისმე; თუ გამოთქმა არ უვარგა, საზოგადოებასაც ვერ გაიტაცებს; ან კი როგორ უნდა გაიტაცოს, თუ მსმენელი იმის ნალაპარაკევის ნახევარს ძლივს გაიგებს.

ხშირად გაგვიგონია ჩვენებისაგან — ქართული ენა ტკბილი ენა არ არის, როგორ უნდა დავატკბოთ მსმენელი ისეთი თანხმოვან ასოებით, როგორც, მაგალითად: ყ, წ-ო.

არამუსიკალური ასოები ყოველ ენაში მოიპოვება. რა ვუყოთ, ჩვენ ვიმუშაოთ და ვეცადოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს არამუსიკალური ასოები ტკბილად გამოთქვათ.

ყველამ ვიცით, რომ ფრანგული ტკბილი ენაა; მაგრამ რო გაიგონოთ ბელგიელები როგორ ლაპარაკობენ, მაშინ აზრს გამოიცვლით. ვისაც გაუგონია ფრანგული ენა თვით საფრანგეთში (ისიც ყველგან არა, მაგალითად, მარსელში ძალიან ცუდათ ლაპარაკობენ არც თუ პარიზში ლაპარაკობენ კარგად, როგორც ზოგსა ჰგონია. ყველაზე კარგად ფრანგულს ტურში ლაპარაკობენ) და ბელგიაში, იმან იცის რამდენად ცუდათ ლაპარაკობენ ამ უკანასკნელ ქვეყანაში იმ ენას, რომელიც ოფიციალ ენად ითვლება. თვითონ ბელგიელები ამბობენ: ჩვენ ლაპარაკს საფრანგეთში ძლივს გავაგებინებთ ხოლმეო! მიზეზი? ერთად ერთი მიზეზი ის არის, რომ გამოთქმა არ უვარგათ.

ესევე ითქმის ჩვენი ენის შესახებ. თუ არ ვეცდებით ტკბილად ვილაპარაკოთ, ტკბილად გამოვთქვათ, ისიც ტკბილად არ გვეჩვენება.

გარდა იმისა— რომ ლამაზად გამოთქმული სიტყვა საზოგადოებას ატკბობს, კარგი გამოთქმა ხმის ნაკლულოვანებასაც ჰფარავს.

პორტიეს ხმა ცუდი ჰქონდა, მანველს *), გამოჩენილ მანველსაც არა ჰქონდა ბრწყინვალე ხმა, მაგრამ მსმენელს არამც თუ მათ მიერ გამოთქმული სიტყვები ესმოდა, არამედ დიდი შთაბეჭდილებაც ჰქონდათ.

მიზეზი? კარგი გამოთქმა ჰქონდა ერთსაც და მეორესაც.

იყო საფრანგეთში კიდე ერთი მსახიობი — ადრიო. არც ხმა ჰქონდა ხეირიანი და კბილებიც ბევრი აკლდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად მსმენელს ესმოდა ყოველივე ასო და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კარგი გამოთქმა ჰქონდა. რადა შორს მივდივართ: ალექსი მესხიშვილს მაინცა და მაინც ხმა საუცხოვო არა აქვს, მაგრამ მსმენელს ყოველისფერი კარგად ესმის.

გარდა იმისა, რომ ცუდი გამომთქმელი საზოგადოებას ვერ გაიტაცებს, ცუდი გამოთქმით შეიძლება აზრსაც დაუშავდეს. რასაკვირველია, ამნაირი სიტყვები ქართულში იმდენი არ არის, როგორც ფრანგულსა და ინგლისურში და არც ისე ძალიან ემსგავსება, მაგრამ მაინც არის.

წარმოვიდგინოთ სათქმელი გვაქვს: „ცუდ დღეში ჩავვარდი“... თუ ამ ვ-ს კარგად და მკაფიოდ არ გამოვთქვამთ, ამ ფრაზას სულ სხვა მნიშვნელობა ექნება. თუ ვიტყვით: ცუდ დღეში ჩავარდი, ეს იმას ჰნიშნავს: შენ ჩავარდი ცუდ დღეში და არა მეო.

ამის შესახებ ერთი ამბავი მაგონდება. ნება მომეცით მოგითხროთ.

სულ ბავშვი გახლდით. თავდაუხურავ ეტლით —აი ჩვენში „ლინეიკას“ რომ ეძახიან— ყველანი სადღაც წავედით. მეეტლედ ბიძაჩემი გახლდათ. მე ბებიაჩემს ვეჯექი კალთაში. მივდივართ... უცებ ბებიაჩემი ეუბნება მეეტლეს: „შვილო, გასო, ვვარდები, ვვარდები ეტლი შეაჩერეო“ ..

— ეჰ, დედი, ამ შუადამისას ვარდებს სადა ჰხედავ ..—მართლაც, საღამო ხანი იყო.

ბებია ჩემი კიდე სულ იმას გაიძახოდა: „შვილო ვვარდებიო“.. ბიძამ ეტლი არ შეაჩერა, მე და ბებია-ჩემი ჩამოვცვივდით. მე გადავრჩი, ბებიაჩემმა მკლავი იღრძო და დღესაცა სტკივა; და ყველა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ვ კარგად არ გამოსთქვა.

მაშასადამე, ვეცადოთ ყოველი სიტყვა კარგად და მკაფიოდ გამოვთქვათ ხოლმე. ტკბილად ლაპარაკი არც ისე ძნელია, როგორც პირველ შეხედვით ეგონება კაცს; საჭიროა მხოლოდ თვითეულ ასოს არ დავუტანოთ ხმის ძალა, სიტყვა არ გავაჭიანუროთ: ვერიდოთ სიმღერით ლაპარაკს, ეს ძალიან დიდი ნაკლია.

გიორგი ჯაბადარი

(გაგრძელება. იქნება)

*) საფრანგეთის ცნობილნი მსახიობნი.

## ქართული სახიობა

**სახალხო სახლში** 4 ღვინობისთვეს წრემ წარმოადგინა ი. გედევანიშვილის „გამცემი“, რომელმაც აუარებელი ხალხი მიიზიდა. ეს პიესა სამართლიანად უყვარს ხალხს და, ვგონებთ, კვირაში სამჯერ რომ დაიდგას, ხალხი მუდამ დაესწრობა. ხალხი სწყურიან მშობლიური რეპერტუარი, თვისი ცხოვრების სარკეში ჩახედვა და წრის გამგეობამაც ხალხის ამ მოთხოვნილებას უნდა გაუწიოს, ანგარიში. რეჟისორის კ. შათირიშვილის სასახელოდ, პ ესა რიგიანად იყო დადგმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და მოთამაშეთა უმეტესობამაც მთლიანი შთაბეჭდილება დასტოვა. ა. შანშიევი ღირსეული და ნიჭიერი აღმასრულებელია მაქროს როლისა, მხოლოდ საყვედური ეთქმის, შიგ და შიგ როლი რომ არ იცოდა. ლ. ბარათაშვილს (მარიკო) ამ სეზონში, სჩანს, დიდი ტვირთი აწევს და ამიტომაც ემჩნევა როლის უცოდინრობა და ერთფეროვნება, აგრეთვე მეტი გულწრფელობის გამოჩენა ჰმართებს. ს. რომანიშვილი—დგებუაძისამ (დარია) საუცხოვო ხ ტება გვიჩვენა: მისი ყოველი სიტყვა, მიმოხვრა-გამოხედვაც ძველი დროს ნენიერ კნეინას ასურათებდა. ან. ქოქოძემ ნინოს სულიერი ტანჯვის დაკვირვებულ გადმოცემით ძლიერი დრამატიული წუთები გ ნაცდევინა მაყურებელთ. ა. მეტრეველი ზედგამოჭრილი სიკო იყო,—ვერც კი წარმოიდგენდით, თუ სიკო სხვანაირი იქნებოდა,—არის როლები, რომლებიც ამ ნაამგდარ სცენის მოქვარის ბუნებას ესისხლ-ხორცება. ასეთია სიკოს როლიც. ვ. ნინიძე ჩასწვდა მოლიბერალო ჯენტლემენი მებატონის (არჩილი) სულისკვეთებას და ცხოვლად განასახიერა, სამაგიეროდ მისი დის ელენეს აღმასრულებელი (თ. ნარაკიძე) ვერ იყო შესაფერი: უფრო „გაკნიაჟებულ“ კოპიტ არსებას მოგვაგონებდათ, ვიდრე ნაზ, ჰაეროვან თავადის ასულს. მ. სვანელი (ლევან) და მამაჯანოვი (მიხაკო) „ამხანაგებს“ მხარს უჭერდნენ: მათი როლების უცოდინრობა მძიმე მდგომარეობით (მაქროსთან შეხვედრა) იფარებოდა.

დამსწრეთა შორის შიგ და შიგ (განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში) წესი ირღვევოდა. არა ერთ გზის გვითქვამს, რომ თეატრში მომსვლელმა უნდა იცოდეს, რა უწმინდეს ადგილას მიდის და თითონვე დაიცვას წეს-რიგი, არა ღრიალით. **უსავანო**

**ხარფუხის კლუბში**, 6 ღვინ., პრესმანის ლოტბარობით გაიმართა სიმებიან ორკესტრის სამუსიკო საღამო. პროგრამა შინაარსიანი იყო. ორკესტრმა მოხდენით შეასრულა გენაცვალე, სამშობლო (გაამეორებინეს), პოლკა-მაზურკა და სხ. ყველა ნოქრის შესრულების შემდეგ საზოგადოება ტაშით აჯილდოებდა ლოტბარს. დილმელაშვილმა მშვენივრად დაუკრა ვიოლონჩელზე, ს. მ. სილინსკინმა საუცხოვო ხელოვნებით დაუკრა ქსელოფონზე (გაამეორებინეს), დასასრულ ორკესტრმა შეასრულა მარში „ხარფუხის კლუბი“, პრესმანის მიერ სხვადასხვა ჰანგებიდან (ლეკური, სამშობლო, ბაიათი) შედგენი-**ლი** **ლი**

**ბაქოს წ. ქ. ს. დრამ. წრემ** კვირას 27 ენკენ. წარმოადგინა „ებრაელები“.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია ერთი ფრიად სასიხარულო მოვლენა, რომელიც ქართულ ეროვნულ კულტურულ ცხოვრებაში ახლა ჩნდება და რომელსაც, ჩემის აზრით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც თეატრალურ სფეროში, ისე სხვა კულტურულ საქმიანობაში. ეს გახლავთ ქართველ ებრაელთა ჩვენთან დაახლოება, მათში ჩვენი ეროვნული კულტურის შეტანა და ჩვენ შორის ძმური კავშირის განმტკიცება. ბაქოს ქართულ წარმოდგენებზე არას დროს არ მინახავს ქართველი ებრაელები. 27 ენკენ. წარმოდგენამ-კი ბევრი მათგანი მიიზიდა, მართალია ამას უნდა უმადლოდეთ პიესის შინაარს, რომელიც ებრაელთა ბედშავ ცხოვრებას ნათლად ასურათებს, მაგრამ ამავე დროს ცხადია ისიც, რომ ქართველ ებრაელებში ქართულ კულტურისადმი ლტოლვა არსებობს და თუ ცდა და ენერგია იქნება ჩვენი მხრივ, დარწმუნებული ვარ, ბევრ საშუალებათა გამონახვა შეიძლება, რომ ჩვენსა და მათ შორის დაახლოების და შეკავშირების ძაფი გავაბათ. საჭიროა ამ სასიხარულო მოვლენას ანგარიში გაუწიონ ბ. წ. ქ. საზოგადოების განყოფილებამ და იქაურმა ქართულმა სამხატვრო-სალიტერატურო წრემ.

რაც შეეხება პიესის დადგმას, ნათლად ემჩნეოდა ბ. რეჟისორის გამოცდილი ხელი. მასიური სცენა უკანასკნელ მოქმედებაში შესამჩნევი იყო. ვ. შალიკაშვილი ასრულებდა რებლეიზერის როლს, რომელმაც სავსებით გადმოგვცა მოხუც სიონისტის სულიერი ტკივილები, ებრაელთა დაბეჩავებულ ცხოვრებათა და მათი შვილებისაგან სიონიზმის მოწინააღმდეგე აზროვნებათა შეთვისებით გამოწვეული. მეორე მთავარ როლს ასრულებდა ბ. ა. ახობაძე, (იახმან), რომელიც, მართალია ცდას არ აკლებდა, რომ ნამდვილი ნახმანი ეჩვენებია მაყურებელთათვის, მაგრამ სამწუხაროდ, აქა-იქ ამლაშებდა.

კარგი იყო ქ-ნი მ. ქილარჯიშვილი ლიას როლში, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც მამას (რებლეიზერს) უცხადებს, არა ებრაელი (ბერიოზინ) მიყვარსო.

შესაფერისნი იყვნენ ბ. ბ. გ. პავლიაშვილი (ზორუხ), ა. პავლიაშვილი (ბერიოზინ), დ. ჭუმბურიძე (შლოიმე). არ მოგვეწონა ბ. ჯიქია (იზერსონი) და მატარაძე ექიმის როლში. პირველი, როგორც იტყვიან „ზაკაზით“ თამაშობდა, მეორეს კი როლის უცოდინარობაც ეტყობოდა. ბ. მატარაძე გამოცდილი სცენის მოყვარეა და მას მეტი მოეთხოვება. **სან**—

**ხაშურში** კვირას, 27 ენკენ. ადგილობრივ რკინის გზის საკრებულოს დარბაზში გაიმართა კონცერტი, 2 განყოფილებად ბარიტონ ენ. პროჯის, ახალგაზრდა მომღერალის და ლეჟავას (ბასი) ქ. ყურაკლიოვისა და სკრიპკის დამკვრელი როკვას მონაწილეობით. თუმცა კონცერტი შინაარსით (იტალიური, ფრანგული და რუსული ჰანგები) მეტად საინტერესო იყო და მომღერლებმაც ნაკისრი ნომრები ყურადღებოდ შეასრულეს, მაგრამ, რადგან დამსწრეთა უმრავლესობა ქართველობა იყო, ამიტომ ბევს არც-კი გაუგია სცენადათა, დუეტების და ოპერებიდან ამოღებულ პროლოგების არც შინაარსი და არც მუსიკალური ჰანგთა ელერანი. საზოგადოების თხოვნით ბ. ლეჟავამ შეასრულა ქართულად „ელეგია“ ი. ჭავჭავაძისა და

ქ. ქურავლიოვისაჰ-კი მშვენიერის კილოთი „მხოლოდ შენ ერთს“. თუ ეს ქ-რთული სიმღერები არა, დამსწრე საზოგადოება ნასიამოვნები ვერ გავიდოდა დარბაზიდან. არა სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს შემდეგი: აფიშებში აცხადებენ ამა თუ იმ მომღერალ დამკვრელს და სცენ ზე კი სხვა გამოდის. ამ საღამოს. ბ. ბაქრაძის მაგიერ, რომელსაც დამსწრენი სულ-განაბულნი მოელოდნენ, გამოვიდა უცნობი ბ. როკვა. საზოგადოება ბლომად დაესწრო. **ნიკო გურული**

**ხაგურთალოს აუდიტორიაში** 4 ღვინ. წარმოადგინეს „პეპო“. წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა. გვარიანი იყო ბეგლარიძე, (ზიმზიმოვი), მატარაძისა (კეკე). დამსწრეთა უმრავლესობა ბავშვები იყვნენ, (60%). წარმოდგენა $9^1/_2$ დაიწყო და $12^1/_2$ გათავდა.

# წვრილი ამბები

**ქუთაისის დასის სეზონი** ბრწყინვალედ დაიწყო 1 ღვინობისთვეს „სინათლე“-ს წარმოდგენით. პიესა გაიმეორეს. ორივე წარმოდგენას აუარებელი საზოგადოება დაესწრო და პიესის მესამედ დადგმა მოითხოვა. პირველი წარმოდგენის წინ დასის მეთაურმა შალვა დადიანმა სიტყვა წარმოსთქვა.

**დამსახურებული მწერლის ს. მგალობლიშვილის** რამდენიმე საყმაწვილო მოთხრობა ერთ წიგნად იბეჭდება გორში (გამოცემა ი. კერესელიძისა).

**ვალ. გუნია** კვირაში ერთ წარმოდგენას გამართავს ხარფუხის კლუბის სცენაზე.

**ხარფუხის საზოგადო კლუბი** 4 ღვინობისთვეს ახალ ბინაზე (აპოლოსეულში) გადავიდა. 6 ამ თვიდან შეუდგნენ სცენის გაკეთებას (სიღრმე-სიგანით 12 არშინი.) ბინას რამდენიმე დარბაზი აქვს—სათეატრო, საბილიარდო, ფოიე, სასადილო და სხ.

**სავლე დევდარიანმა**, ხაშურის გიმნაზიის 7 კლ. მოწაფემ, სთარგმნა გ. ლესინგის 5 მოქ. ტრაგედია: „ემილია გალოტტი“.

**ხაშურის** დრ. წრე 11 ღვინ. სდგ. „და-ძმას“.

**სოფ. ქვიშხეთის მცხოვრებმა**, მემამულე დათიკო ნემსაძემ, ხაშურის ქარ. დრამ. წრეს შესწირა 25 მან სათეატრო ფარდის შესაძენად.

**ბორჯომის** წერა-კითხვის საზ. განყოფილებასთან არსებულს ქარ. სცენის მოყვარეთა წრეს ვაჟით ძნელაძის მეთაურობით გადაუწყვეტია მართოს ფასიანი წარმოდგენები. ამ მოკლე ხანში დაიდგმის „არსენა“.

**ხაშმელ გლეხ-მგალობელთა გუნდი** ლეონიდე ეპისკოპოსმა შიო-მღვიმეს გაიხმო. აგალობა მოუწონა, დაასაჩუქრა, წიგნები დაურიგა საკუთარის საგულისხმო წარწერებით და მომავალი ნინოობისთვის ფოთს გაიწვია.

**ნ შიუკაშვილის დრამა** „სიმახინჯე“ სომხურად წარმოადგინეს 7 ღვინ, სახალხო სახლში.

**ნოქართა კლუბში** ორშაბ თს, 12 ღვინობ. გ. იორდანიშვილის, ს. ტარუაშვილის და სხვ. მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ბატონი და ყმა“ და „ქკუისა მკირს“

**სახალხო სახლში** დღეს, შაბათს, 10 ღვინ. წარმოდგ. იქნება ტ. რაზიშვილის „მეზობლები“.

**მგოსანს ს. დ. ბალმონტს** ქუთაისში დიდის ზეიმით შეეგებნენ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

Дозволено Военной Цензурой

Типографія „Сорапань“


## ხარფუხის საზ. კლუბი მიხეილის პრ. № 131.

**ე-თი კვირის პროგ 10 ღვინობისთვ. 18-დ**

**შაბათს** { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით
**ორშაბ** სინემატოგრაფი
**სამშაბ.** სიმებიანი ორკესტრი
**ოთხშაბ.** სინემატოგრაფი
**ხუთშაბ.** სიმებიანი ორკესტრი
**პარასკევს.** საზანდარი, სინემატოგრაფი
**შაბათი** { სიმებიანი ორკესტრის კონცერტი
**კვირა** { პრესმანის ლოტბარობით

**შესავალი ფასი**: მამაკაცნი—30 კ. ქალები და სტუდენტები—20 კ. დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

ჩვეულებრივ ვასწავლი

### ქართულ სიმღერა—გალობას

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წევრების მიღება-ჩაწერა იკითხეთ

**მიხეილ კავსაძესთან**

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლის შენობაში, ორშაბათ., ოთხშაბათ და პარასკეობით საღამოს 6—9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს.

**ვასწავლი მუშა ხალხსაც.**

**სცენის მოყვარეთა მუშაკთა საყურადღებოდ:**

ისყიდება წიგნაკი:

**И. Т Полумордвиновъ.**

**Списокъ пьесъ**

**На грузинскомъ языкѣ,**

разрѣш. къ представл. на сцен Кавк. Края. ц. 40 коп.

Тифлисъ Цензурный Комитетъ





სტამბა „სორაპანი“